საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 302/ს
30.06.2023

302-21-4-202306301440

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ**

ზოგადი ადმინიტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, ,,საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 მარტის N492 განკარგულების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 აპრილის N2-255 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" და „მ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2023 წლის 29 ივნისის N5118/01 თანხმობის წერილის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები;
2. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 01 ივლისიდან;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 31 მარტის N148/ს ბრძანება;
4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს ამ ბრძანების სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსება;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N34) კანონმდებლობით დადგენილ ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო